სასკოლო ინტეგრირებული პროექტების უპირატესობები
და მდგრადი განვითარების გამოწვევები

ავტორი მაია ფირჩხაძე

ბოლო დროს ხშირად ისმის მოწოდება: „ასწავლო დღეს ისე, რომ ფიქრობდე მომავალზე“. მისი შინაარსი თანამედროვეობის სისტემურ კრიზისებს უკავშირდება. მოსალოდნელ საფრთხეებთან გასამკლავებლად მსოფლიო საზოგადოებრიობის გაერთიანებაა საჭირო. გაეროს გენერალურმა ასამბლეამ რისკების შესამცირებლად არაერთი პროგრამა შეიმუშავა. მდგრადი განვითარებისთვის მნიშვნელოვანი სამი ძირითადი კომპონენტის (ეკონომიკური ზრდა, სოციალური პასუხისმგებლობა და გარემოსდაცვითი ღონისძიებები) დაბალანსება, პრობლემების მოგვარება და კრიზისების დაძლევა სწარაფად ვერ მოხერხდება და მომავალი თაობების მზადყოფნას მოითხოვს.

როგორ გადავლახოთ სირთულეები? როგორ ვასწავლოთ ისე, რომ პრობლემის მოგვარებაზე ორიენტირებული ახალგაზრდები გავზარდოთ? როგორ მივაღწიოთ მომავლის მდგრადობას?

სასკოლო ინტეგრირებული პროექტები ასეთი საკითხების გადაჭრის გზების დანახვაში ეხმარება მოსწავლეს, რამდენადაც წარმოაჩენს იმ პროცესების ერთიანობას, რომლებიც ჩვენ გარშემო იყრის თავს. შესაბამისად, **ინტეგრირებული პროექტი უბრალოდ სხვადასხვა საგნის გაერთიანება კი არ არის, არამედ გაერთიანება საერთო მიდგომის საფუძველზე:**

- ინტეგრირებული პროექტი არის სწავლების ინტენსიფიკაციის საშუალება, საგანთაშორისი კავშირების განხორციელების გზა ახალი ცოდნის აგებისა და უნარების გამომუშავებისთვის. ის ეხმარება მოსწავლეს დისციპლინათაშორისი კავშირების დანახვასა და შესაბამისი მეტასაგნობრივი უნარების გამომუშავებაში;
- მისი ყოველი ეტაპი შემოქმედებით მიდგომას მოითხოვს, ვინაიდან დასახული მიზნის მიღწევა და პრობლემების გადაჭრა ცოდნის ინტეგრირებული გამოყენების გარეშე შეუძლებელია;
- შედეგად მოსწავლეები აერთებენ ცოდნას, გამოიმუშავებენ საკუთარ წარმოდგენას სამყაროს შესახებ, გარემოს აღქვამენ როგორც ერთიან, მთლიან პროცესს.

ინტეგრაცია მათ ეხმარება:

- დამოუკიდებლად შეიძინონ და გაიმდიდრონ ცოდნა – საჭირო ინფორმაციის მოძიება მოითხოვს ლიტერატურაზე სისტემატურ მუშაობას;
- მოიძიონ მიზნის შესაბამისი ტექნოლოგია და უკეთესად გადმოსცენ სათქმელი – დღეს კვლევითი თუ შემოქმედებითი საქმიანობა ინტერნეტის გარეშე წარმოუდგენელია. მოსწავლეები მას იყენებენ მასალების შესაგროვებლად, ინფორმაციის სტრუქტურირებისთვის;
- განიმტკიცონ კომპეტენციები – მოსწავლეები სიღრმისეულად გაიაზრებენ პრაქტიკულ, ცხოვრებისეულ პრობლემებს და გამოიმუშავებენ პრობლემის ერთიანობაში ხედვის უნარს.

ასეთი მიდგომა ერთგვარად **ინოვაციურიცაა**, რადგან ხელს უწყობს მოსწავლეს გარე სამყაროსა და სოციუმთან ადაპტაციაში, ქმნის მოსწავლეზე ორიენტირებულ გარემოს და მაქსიმალურად უწყობს ხელს მისი შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზებას.

სასწავლო-მეთოდური კუთხით ინტეგრირებული პროექტები მოითხოვს სასწავლო აქტივობების ისე დაგეგმვას, რომ მოსწავლეთა ენთუზიაზმი და ინტერესმა იმატოს და პრობლემა მათ გულამდე მივიდეს, მით უმეტეს, როდესაც საქმე ასეთ აქტუალურ პრობლემებს ეხება.

სასკოლო ინტეგრირებულ პროექტებზე მუშაობის ეტაპები

- **მოსამზადებელი ეტაპი –** პრობლემის წინ წამოწევა, აქტუალიზაცია (პროექტის მიზნისა და ამოცანების გამოკვეთა);
- **დაგეგმვა** (პრობლემის გადაწყვეტის გზის მოძებნა);
- **დანერგვა/ კვლევა** (მოსწავლეები თავად აღმოაჩენენ ახალ ფაქტებს, აგებენ ახალ ცოდნას და არა მზა სახით იღებენ მასწავლებლის მონათხრობიდან ან საინფორმაციო წყაროებიდან);
- **შედეგებისა და დასკვნების ფორმულირება**;
- **შედეგების მიმოხილვა და პრეზენტაცია**;
- **რაოდენობრივი და თვისებრივი შედეგებისა და პროექტული საქმიანობის პროცესის შეფასება.**

მაგალითი: საზოგადოებრივი მეცნიერებებისა და ინგლისური ენისა და ლიტერატურის კათედრის ერთობლივი პროექტი „მდგრადი განვითარება უსაფრთხო მომავლისთვის“

პროექტის მომზადებისას გათვალისწინებულ იქნა საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნები, შეიძლება ითქვას, პროექტი მიება საგნობრივი სწავლების მიზნებსა და შედეგებს:

- **საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების მიზნები და ამოცანები:** მოსწავლის სამოქალაქო აღზრდა, თანასწორობასა და შემწყნარებლობაზე ორიენტირებული, აქტიური პიროვნების ჩამოყალიბება; მოსწავლისთვის ჰუმანური ღირებულებების ჩამოყალიბება; მოსწავლისთვის სოციალური უნარების (ეთიკის, ეკოლოგიური წიგნიერების, მეწარმეობის, საგანგებო სიტუაციებში რისკის შეფასებისა და უსაფრთხოდ მოქმედების და სხვ.) განვითარება; მოსწავლის დახმარება მსოფლიოს ერთ მთლიანობად აღქმასა და მიმდინარე პროცესებში საქართველოს ადგილის განსაზღვრაში;
- უცხ.XI 5. მოსწავლე მონაწილეობს ინტერაქციაში; უცხ.XI 7. მოსწავლე იყენებს ზეპირმეტყველების სათანადო სტრატეგიებს; უცხ.XI 14. მოსწავლე განსაზღვრავს კითხვის მიზანს და შესაბამისად იყენებს კითხვის სხვადასხვა სახეობას (გაცნობითი, შესწავლითი, ძიებითი); უცხ.XI 17. მოსწავლე გადმოსცემს საკუთარ შეხედულებას, დამოკიდებულებას და ასაბუთებს მას.

პროექტის მიმდინარეობისას, 2 კვირის განმავლობაში, მე-10-11 კლასების მოსწავლეები:

- განაწილდნენ ჯგუფებად;
- მოიძიეს ლიტერატურა ქართულ და ინგლისურ ენებზე;
- გაეცნენ მდგრადი განვითარების მიზნებს, მათი შესრულების მნიშვნელობას, მიღწევის გზებს;

- გაეცნენ ამ მიმართულებით მსოფლიოსა და საქართველოში არსებულ გამოწვევებს და უკვე მიღწეულ შედეგებს (მაგალითად, დამუშავდა „მდგრადი განვითარების მიზნების ლოკალიზების საბაზისო კვლევა: ლოკალიზების პერსპექტივები საქართველოში“ https://idfi.ge/ge/sdg-report-2021-georgia-results, რომელიც აისახა პრეზენტაციებშიც);
- ხელი შეუწყვეს სკოლის მასშტაბით საკითხის ცნობადობის გაზრდას: მე-10 და მე-11 კლასების მოსწავლეებმა ქართულ და ინგლისურ ენებზე გამართეს პრეზენტაციები დაწყებითი და საბაზო საფეხურის მოსწავლეებისთვის და უხელმძღვანელეს დებატებს მცირე ჯგუფებს შორის;
- მეთერთმეტეკლასელებმა შექმნეს ელექტრონული წიგნი ინგლისურ ენაზე მდგრადი განვითარების მიზნების პოპულარიზაციისთვის – https://read.bookcreator.com/TFa9b8a9Y7OlpI1oFT7N45z1Ce12/YUtdV-JrT2i9Dcdcz1GW1Q?fbclid=IwAR3ldwyhXYHjucCCJPptDZ2kKl-HTpjXLjZG5EbxH830h5H9n4kTeUC14ag
- მეათეკლასელებმა მოამზადეს პრეზენტაციები ქართულ ენაზე (რისთვისაც გამოიყენეს ქართულ და ინგლისურ საიტებზე განთავსებული ინფორმაცია) **დიზაინის ონლაინ ინსტრუმენტის** გამოყენებით – https://www.canva.com/
- 

- https://www.canva.com/design/DAFgfVcxRYg/yAWw1H5YOQOUFXODyG3d5w/edit?analyticsCorrelationId=fc092cc0-2ae9-4262-843e-5954397654f7

პრეზენტაციებში აისახა, რა ვითარებაა საქართველოსა და მსოფლიოში მდგრადი განვითარების მიზნების შესრულების ხარისხის მხრივ და რა გამოწვევებია აქტუალური ამჟამად.

გაიმართა დისკუსიაც ქართულ და ინგლისურ ენებზე, სადაც მოსწავლეები გამოეხმაურნენ მოსაზრებას: დღევანდელობის მოთხოვნილებები უნდა დაკმაყოფილდეს ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას მომავალ თაობებს.

მოსწავლეებმა სრულყვეს საგნობრივი ცოდნა და უნარები და გაიუმჯობესეს აკადემიური შედეგები.

პროექტმა ხალისი და ინტერესი შესძინა მოსწავლეთა სასკოლო ცხოვრებას, რაც პროექტის რაოდენობრივ და თვისებრივ შეფასებაზეც აისახა.

ინტეგრირებულმა პროექტმა კიდევ ერთხელ წარმოაჩინა პროექტზე დაფუძნებული სწავლების როლი, დადასტურდა, რომ თუ სასწავლო პროცესში აქტიურად ჩავრთავთ ინტეგრირებულ პროექტებს, მათ შორის – მდგრად განვითარებაზე ორიენტირებულ დავალებებს, და ამას მივაწოდებთ როგორც გამჭოლი, ისე სხვადასხვა საგნობრივი კომპეტენციის კუთხით, ამით ხელს შევუწყობთ მომავალ თაობებს, ცხოვრების გამოწვევებს მომზადებულნი შეხვდნენ და იმავდროულად ცოდნა და უნარებიც გაიუმჯობესონ.